დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,, ერქვანი“
დირექტორის ბრძანება № 6 „ო“ ,, 13 ’’ „თებერვალი“ 2020წ

(შეტანილია ცვლილება დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის N29 ,,ო'' ბრძანებით)

სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი მომზადებულია 2018 წლის 20 სექტემბრის საქართველოს კანონის ,,პროფესიული განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ №99/ნ ბრძანების მე-8 მუხლის „ა“ პუნქტისა და ამ წესის შესაბამისად.

2. წინამდებარე წესის შესაბამისად, პერსონალის სამსახურში მიღებისათვის დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიზანია კანდიდატის კვალიფიკაციის შეფასება.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თითოეული ადმინისტრაციული/დამხმარე/მომსახურე პერსონალის თანამდებობისათვის.

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციის, გამოცდილების, საჭიროების შემთხვევაში, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენის ცოდნის, აგრეთვე სხვა პირობებთან შესაბამისობის შემოწმებას.

5. თითოეული კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მის მიერ დასაკავებელი თანამდებობისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6. პერსონალის სამსახურში მიღების გადაწყვეტილებას კოლეჯის დირექტორი იღებს მხოლოდ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისა და/ან საკონკურსო კომისიის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) დასკვნის საფუძველზე.

7. პერსონალი სამსახურში არ მიიღება, თუ ის არ აკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

8. პერსონალთან, რომელიც სამუშაოდ მიიღება დროებით განსაზღვრული ვადით, კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის, შრომითი ურთიერთობები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით.

9. კოლეჯი უფლებამოსილია პერსონალი მიიღოს გამოსაცდელი ვადით, შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის შესახებაც აღინიშნება შესაბამის ბრძანებაში.

მუხლი 2. დირექცია/ადმინისტრაციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. უმაღლესი განათლება/პროფესიული განათლება
2. სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა.
3. კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა.
4. ადმინისტრაციული თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა.
5. შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება (სასურველია).

მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2. უმაღლესი განათლება / პროფესიული განათლება
3. საშუალო/საბაზო/ განათლება და სამუშაო გამოცდილება, რაც დასტურდება სხვადასხვა გზებით.
4. პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია).
5. სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარები.

მუხლი 4. დამხმარე და მომსახურე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საბაზო/საშუალო ან პროფესიული განათლება.